სტვენია ენა

გსმენია სტვენის გაკვეთილების შესახებ? წაიკითხე ტექსტი და გეკოდინება, სად და რატომ ტარდება ასეთი გაკვეთილი.

წარმოიდგინე, რომ კლასში სხედან ბავშვები და უსტვენენ. მასწავლებელი კი კარგი სტვენის გამო მათ **აქებს**. ძნელია ამის დაჯერება, არა? თუმცა ეს **ნამდვილად** ხდება. ატლანტის ოკეანეში, აფრიკასთან ახლოს, არის ერთი კუნძული. მას გომერა ჰქვია. აი, სწორედ აქ აქვთ ბავშვებს ყოველდღე სტვენის გაკვეთილი. დავალებასაც სტვენაში აძლევენ. მაღალ ნიშანსაც მას უწერენ, ვინც კარგად უსტვენს. იცი, რატომ? სტვენის გაკვეთილი გომერელი ბავშვებისთვის მშობლიური ენის გაკვეთილია.

გომერა ლამაზი მთიანი კუნძულია. სტვენა მთიდან მთამდე უკეთესად ისმის, ვიდრე ყვირილი ან ლაპარაკი. ჰოდა, გომერელებიც ძველად სტვენით აგებინებდნენ ერთმანეთს სათქმელს. მე-15 საუკუნეში კუნძულზე ესპანელები მოვიდნენ. მათ გომერელებს ესპანური ენა ასწავლეს. მაგრამ გომერელებმა არც მშობლიური ენა დაივიწყეს. დღეს ისინი სკოლაში ორ ენას სწავლობენ. ერთია ესპანური, მეორე – სილბო. სილბო სტვენია ენაა. ამ ენაზე ყველა სიტყვის თქმა შეიძლება, მაგრამ სტვენით.

გომერელები ძალიან უვლიან თავიანთ **უცნაურ** ენას. არ უნდათ, რომ ეს საოცარი სტვენია ენა **გაქრეს**. სტვენია ენა ყველა გომერელმა ბავშვმა უნდა იცოდეს. ამიტომ ასწავლიან სტვენას სკოლაში.

რა მოგეწონა ყველაზე მეტად ამ ტექსტში?

დონე: *B* *გამართული,* **კომპონენტი:** *შეჯამება*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რით არის უცნაური კუნძული გომერა?

ა) აქ ბავშვებს სტვენის გაკვეთილები უტარდებათ.

ბ) აქ მოსახლეობა ესპანურ ენაზე ლაპარაკობს.

გ) იგი ატლანტის ოკეანეში მდებარეობს.

2 რით განსხვავდება სილბო სხვა ენებისაგან?

ა) ამ ენაზე ყველა სიტყვას სტვენით ამბობენ.

ბ) ამ ენაზე ლაპარაკი ძალიან ადვილია.

გ) ამ ენას ბავშვები გაკვეთილზე სწავლობენ.

3 გომერელები სილბოს იმიტომ სწავლობენ, რომ:

ა) სილბო ერთ-ერთი ძველი ენაა.

ბ) სილბო მათი მშობლიური ენაა.

გ) სილბოზე ყველაფრის თქმა შეიძლება.

4 გომერაზე სტვენით საუბარს ხელი შეუწყო იმან, რომ:

ა) კუნძულზე ბავშვები სკოლაში დადიან.

ბ) კუნძულზე ესპანელებიც ცხოვრობენ.

გ) კუნძულზე ძალიან მაღალი მთებია.

5 რა მიზნით სწავლობენ გომერელები სტვენას სკოლაში?

ა) მასწავლებლის ქება რომ დაიმსახურონ.

ბ) სხვებს რომ კარგად ელაპარაკონ.

გ) სილბო რომ არ დაავიწყდეთ.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. მასწავლებელი კარგი სტვენის გამო ბავშვებს **აქებს.** სიტყვა **შექება** ნიშნავს:
   ა) მაგალითის ჩვენებას.
   ბ) მოწონების გამოხატვას.
   გ) შენიშვნის მიცემას.

2. ეს **ნამდვილად** ხდება.
   ა) ალბათ. ბ) ზოგჯერ. გ) მართლა.

3. გომერელები ძალიან უვლიან თავიანთ **უცნაურ** ენას.
   ა) ლამაზ. ბ) საოცარ. გ) უძველეს.

4. გომერელებს არ უნდათ, რომ მათი ენა **გაქრეს.**
   ა) გამარტივდეს. ბ) დაიკარგოს. გ) შეიცვალოს.

2 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?

ა) ახლოს – შორს. ბ) ნამდვილად – მართლა. გ) ძველად – წინათ.

▶▶▶ გრამატიკა

1 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

---------- ესპანური ენა ისწავლეს.

ა) გომერელები. ბ) გომერელებმა. გ) გომერელებს.

2 დაასრულე ხაზგასმული სიტყვა.

სტვენა **მთი. . .** მთამდე უკეთესად ისმის.

3 დაწერე სიტყვები მრავლობით რიცხვში.

ნიმუში: დღე – დღეები.

1. ოკეანე – ----------. 2. მოსწავლე – ----------.

გრამატიკა

4 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. ბევრი გომერელი კარგად ----------. *(უსტვენს/უსტვენენ)*

2. სტვენა ყველა გომერელმა ბავშვმა უნდა ---------- *(იცოდეს/იცოდნენ)*

5 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

გომერელი ----------. (ენა, ბავშვი)

გომერული ---------- . (სკოლა, მოსწავლე)

ესპანელი ----------. (მასწავლებელი, სიტყვა)

ესპანური ----------. (სტუმარი, ლაპარაკი)

წერა

1 დაწერე შემაჯამებელი ტექსტი „სტვენია ენა“. ამისათვის გამოიყენე ტექსტის გაგებისთვის დასმული კითხვები და შენი პასუხები.

მაგალითად, დაიწყე ასე: კუნძულ გომერაზე ტარდება ----------
---------- *(ეს წინადადება დაასრულე შენი პირველი კითხვის პასუხის მიხედვით. შემდეგ დაწერე დანარჩენი პასუხები).*

---

2 დაწერე ტექსტი და ურჩიე ყველას სტვენია ენის შესწავლა.